572
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დილა

„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 3

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

მარტი
1960

# ჩვენ კრემლთან ვცხოვრობდით

ი. გაისი

ნახატები გ. თოთიბაძისა



მოსკოვში 1920 წლის ოქტომბერში ჩამოვედით.

ვაგზლის ახლოს მოედანზე მეეტლეები თვლემდნენ. ბნელოდა, სინათლე მხოლოდ აქა-იქ ციმციმებდა. მამა, დედა და მე ჩემოდნებს მივათრევდით, ხოლო შვიდი წლის ლილკას კაკაოს რკინის ქილა გულში ჩაეხუტებინა და ისე მოგვყვებოდა. შიგ მისი ლენტები, მძივები, ხავერდის დათუნიას უკანა ფეხი თუ სხვა განძეული ელაგა.

ბინა საბჭოების მეოთხე სახლში მოგვცეს. ფანჯრები პირდაპირ კრემლს გაჰყურებდა და ჩვენც თვალს ვერ ვაშორებდით ქვის არშიაშემოვლებულ კრემლის კედლების კონგურებს.

მაღალ კედლებს იქით ოქროს გუმბათები და სახურავები მოჩანდა, რომლებიც საოცრად ლაპლაპებდნენ მზეზე, განსაკუთრებით დღის ბოლოს. ისეთი შესანიშნავი სანახობა იყო, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდა კაცი.

მთელი დღე არ გვწყინდებოდა კრემლის ცქერა, რადგან ვიცოდით, რომ იქ ლენინი ცხოვრობდა, თუმცა რომელ სახლში—ეს კი არ ვიცოდით.

კოშკთან კრემლის სამხედრო სკოლის კურსანტები იდგნენ გუშაგებად.

ჩვენი სახლის ბავშვები ხშირად მიდიოდნენ ხოლმე კრემლში, ლილკაც მათ მიჰყვებოდა. პატარები იყვნენ და საშვს არავინ სთხოვდათ. მე კი შურით ვსკდებოდი, რადგან დიდი ვიყავი და არავინ შემიშვებდა. ერთხელ ლილკამ წინსაფარი გაიკეთა, რომლის ჯიბეზეც კურდღელი იყო ამოქარგული. შიგ ვაშლის ჩირი ჩაიყარა (მაშინ ჩვენი საზრდო უმთავრესად ჩირი იყო) და მეგობრებთან ერთად კრემლისაკენ გასწია.

მე ზევიდან ვუთვალთვალებდი მათ. აი, ისინი შუა მოედანზე შეჩერდნენ, ტრამვაი გაატარეს. აგერ კოშკთან მივიდნენ, გუშაგს ჩაურბინეს და კრემლში შევიდნენ.

უცბად, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ვხედავ: ლილკა კისრისტეხით გამორბის უკან, წინსაფრის ჯიბეში ხელი ჩაუყვია. აი, სადარბაზო კარში დაიმალა და მალე ყვირილით შემოიჭრა ოთახში:

— ვნახე! ვნახე! ვნახე!

— რა მოხდა? ვინ ნახე?—მივცვივდით ლილკას.

— ვინ და ლენინი!—ყვიროდა ბედნიერი ლილკა.

— ვერ ნახავდი!

— აი, თუ არა, აი, თუ არა!—ხტოდა იგი და წინსაფრის ჯიბიდან ხელს აიღებდა.



— დაწყნარდი და ყველაფერი მშვიდად გვიამბე,—უთხრა მამამ და დააპირა ლილკა მუხლებზე დაესვა, მაგრამ გოგონას რა გააჩერებდა, წინ და უკან დარბოდა და იძახდა:

— აი, მისმინეთ! მივედით ზარბაზან მეფესთან. ჩვენ მუდამ იქ ვთამაშობთ ხოლმე. უცებ ვხედავთ: ლენინი მოდის! მაშინვე მისკენ გავიქეცით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობათ, ამხანაგო ლენინ! ჩვენ ვიცით, თქვენ ლენინი ხართ!

— გამარჯობათ,—გვითხრა მან და შეჩერდა,—საიდან იცით, რომ მე ლენინი ვარ?

— სურათით გიცანით!

მე ცოტაოდენი ვაშლის ჩირი ამოვიღე და გავუწოდე:

— მიირთვით, ამხანაგო ლენინ!

მან გაიცინა და მითხრა:

— გმადლობ, გოგონა, შენ თვითონ ჭამე!—აქ ლილკამ სული მოითქვა და განაგრძო:—აი, ასე იყო. მერე ლენინმა ჯიბეში რაღაცას დაუწყო ძებნა, თან შემეკითხა:

— წერა იცი?

მე ვუპასუხე, რომ ვიცი. ლენინმა ბლოკნოტი გამომიწოდა:



— აბა, დაწერე რამე!

მე არ ვიცოდი, რა დამეწერა. ბოლოს „მასკვა“ დავწერე. მან კი ფანქრით „ა“ „ო“-დ გადამისწორა და „მოსკვა“ გამოვიდა. ვაი, როგორ შემრცხვა!..

— აჰა, ფანქარი, კარგი წერა ისწავლეო!

— სულ მაძლევთ?—შევეკითხე მე.

— სულ,—მითხრა სიცილით და წავიდა.

ბავშვები შემომეხვივნენ. მე კი სახლში გამოვიქეცი. აი, სულ ეს იყო,—და აწითლებული ლილკა გაჩუმდა.

ჩვენ ყველანი მას შევცქეროდით.

— ფანქარი სადღაა?—თქვა მამამ,—რაღაც ვერ ვხედავ ფანქარს.

— ხომ არ წამართმევთ? — ჰკითხა ლილკამ და წინსაფრის ჯიბიდან მოწიწებით ამოიღო მუქი წითელი ფანქარი. ჩვენ ერთმანეთს ვტაცებდით ხელიდან. ის ჩვეულებრივი, ექვსკუთხა, თითქმის დალეული, მაგრამ სუფთად წათლილი ფანქარი იყო. მის კრიალა ზედაპირზე ოქროს ასოებით ეწერა: „იოჰან ფაბერი“.

მამამ ფრთხილად გაუსვა ფანქრით ხაზი, დედამ და მეც ვცადეთ. ლილკა აღელდა:

— ნუ წერთ! ნუ წერთ! თორემ გამიფუჭდება!

მან ფანქარი აიღო და თავისი საყვარელი რკინის კოლოფის სულ ძირში ჩადო, სადაც განძეული ეწყო.

ჰოდა, აგერ ორმოცი წელია, რაც ფანქარს იმ შორეული დროის სახსოვრად ინახავს ჩემი და. მაშინ ჩვენში არც მეტრო იყო, არც მაღალი სახლები, არც რადიო, არც თვითმფრინავები, არც ტანკები, არც ტრაქტორები, არც ატომური სადგურები და ფანქარიც კი, უბრალო სასკოლო ფანქარი, ჩვენს ფაბრიკაში არ იყო დამზადებული. მაგრამ გვყავდა ლ ე ნ ი ნ ი, ვინც საფუძველი ჩაუყარა მთელ ჩვენს დოვლათს.

თარგმნა **ლ. ერაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვა მარტი

მარიამ ბურჭულაძე

ნახატები გ. როინიშვილისა



ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენ იცით, რომ **8** მარტი ქალთა დღეა. ამ დღეს ყველა თქვენგანი ცდილობს მიართვას საყვარელ გამზრდელებს თავისი ხელით დახატული ლამაზი სურათი, ან ყვავილები, ან კოპწიად დაწნული კალათი, გაახაროს კარგი ნიშნებით. ეს ხომ ყველაზე საუკეთესო საჩუქარია მშობლისა და მასწავლებლისათვის.

აი, მე გიამბობთ სწორედ ამ დღესასწაულის შესახებ.



**50** წლის წინათ, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში შეიკრიბნენ მსოფლიოს მოწინავე ქალები. გერმანელი რევოლუციონერი ქალის კლარა ცეტკინის წინადადებით მათ გადაწყვიტეს ყოველწლიურად ეზეიმათ **8** მარტი, როგორც ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დღე. ჩვენი სახელოვანი წინაპარი ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ მოღვაწე ქალებსაც.

საბჭოთა ქვეყნის ქალებმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიაღწიეს თავისუფლებას და თქვენ ბედნიერი ბავშვობა მოგიპოვეს. მოღვაწე ქალთა შორის პატივისცემით მოიხსენიება დიდი ლენინის მეუღლე და თანამებრძოლი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. მან დიდი ამაგი დასდო საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას.



მაგრამ ჯერ კიდევ მრავალ ქვეყნებში მშრომელები უდიდეს ტანჯვასა და გაჭირვებაში ცხოვრობენ. იქ ქალებს ერთი მხრივ სტანჯავთ სიღარიბე, მეორე მხრივ კი— უუფლებობა. შვეიცარიაში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ; მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ქალებს შრომაში უფრო ნაკლებ გასამრჯელოს აძლევენ, ვიდრე მამაკაცებს. იაპონიაში ამჟამადაც არსებობს ქალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ყიდვა-გაყიდვა. უნუგეშოა ამ ქვეყნებში ბავშვების მდგომარეობა.

მე არასოდეს დამავიწყდება იმ საცოდავი, შიმშილტიტველი ბავშვების სახე, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობისას ვნახე. მათთვის უცხოა ბავშვური ცელქობა და ხალისი, ამ უდიდესი მიღწევების საუკუნეში ისინი მაინც წერა-კითხვის უცოდინარნი რჩებიან. მათი მამები და დედები იბრძვიან მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მოითხოვენ მათ შვილებსაც ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ.

ჩემო პატარა მეგობრებო, ვინ მოსთვლის, რამდენი ბრძოლა და შრომა გადაიტანეს თქვენმა წინაპრებმა სახელოვანმა ქალებმა, რომ თქვენთვის უდარდელი ბავშვობა შეექმნათ. ამიტომ ჩვენ სიყვარულით და პატივისცემით უნდა მოვიგონოთ ის თავდადებული მებრძოლი ქალები, ვინც სიცოცხლე არ დაიშურა ხალხის ბედნიერებისათვის.

თქვენი ვალია უფროსი ადამიანებისადმი მოკრძალება, პატივისცემა. ეს ყველას მიმართ გმართებთ საბჭოთა ბავშვებს. თქვენ კარგი სწავლით, კარგი ყოფაქცევითა და ბეჯითი შრომით უნდა გაახაროთ დედის გული ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს.







## შიოს საჩუქარი

ვ. ასლამაზაშვილი

— ბიჭო შიო! დღეს რვა მარტია, დედას საჩუქარს არ უმზადებ?—ჰკითხა გურამმა უმცროს ძმას.

— შენ?

— მე სურათი უნდა დავუხატო, ნათელა კი ცხვირსახოცს უქარგავს.

— გურამ, მოდი, შენ დამახატვინე, ცოტას ნათელა ამომაქარგვინებს და მეც გავახარებ დედას!

— აი, შე ეშმაკო, ასე იოლად გინდა გადარჩე?

დაღონდა შიო და თვალზე ცრემლი მოადგა.

—ეჰ, ტირილის მეტი არაფერი იცი!—მიატოვა დაძმამ შიო.





როცა დედა სამსახურიდან დაბრუნდა, შიო კარებში მიეგება:

— დედიკო! გურამმა და ნათელამ საჩუქრები დაგიმზადეს!

— მართლა, გენაცვალე? შენ რითი გამახარებ?

შიო დედას ყელზე მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— მე კი მტირალა აღარ ვიქნები!

# საცრუჯენტეთი კბილი

ქ. ჭილაშვილი

ნახატი გ. როინიშვილისა



გულომ მეზობლის კარი შეაღო, წიგნზე თავდახრილ ირაკლის შესძახა: „დაიწყოო“ და ბრაგაბრუგით უკან გაბრუნდა. ბიჭმა გადაშლილი წიგნი მიატოვა და მაცნეს ფეხდაფეხ მიჰყვა.

გულოსთან შინაურები ტელევიზორს შემოსხდომოდნენ. ირაკლიმაც იქვე ცარიელ სავარძელში მოიკალათა და მზერად იქცა. გვიან შემობრუნდა შინ.

— ოჰ, რა კარგი ფილმი ვნახე!— შიახარა დედას, რომელიც უკვე მობრუნებულიყო მორიგეობიდან.

— მერე გაკვეთილები მზადა გაქვს?

— რა ხანია დავისწავლე!—უპასუხა ბიჭმა, თან გადაშლილი წიგნი უჩუმრად დახურა და ჩანთაში ჩადო.

დილით მოვასწრებ,—გაიფიქრა და მილი ირჩია.

ს. ბარელაძე

ნახატები მ. მელიქაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჩიტა და ქაჩიტა



1

ისე დახტის აჩიტა,
თითქოს იყოს ნაჩხიტა.
დაბადების მოწმობაც
საჭიროა ლექსისთვის:
თებერვალში შესრულდა
ოთხი წლის და ექვსი თვის.
თბილისელი კაცია
რიგის ქუჩის მცხოვრები.
აქ არიან ბიჭები,
მისებრ შეუპოვრები.
ჩემი სიტყვა არ გჯერათ?
ადექით და ეწვიეთ.
რიგის ქუჩა სად არის?
ვაკის გზაზე ეძიეთ.
იქ აჩიტას ეზოა,
რაღაც ერთი მტკაველი.

ენატრება ძალიან
თუმცა მოლი და ველი.
მარჯვენივ არის აუზი.
მარცხნივ არის გარაჟი.
და შუაში—ალექსი,
ჩვენი სახლის დარაჯი...
იმ პატარა ეზოში
რაც ბავშვები არიან,

თითქმის ყველა
აჩიტას
დიდი მეგობარია!
ისე, როგორც აჩიტა,

ყველანი ვართ ამ აზრის:
რიხიანი ბიჭია
თვალმოლხაზა მალხაზი.
ვანიკო და თემური

ორივ თანატოლია.
როცა გუყვანან ისინი,
თუნდაც ძმები გგონია.
აჩიტასთან თამაში

რვა საათს გადასცილებოდა, ირაკლიმ რომ თვალი გაახილა. უმალ წაიცვა, აბურძგნილი ქოჩორი სველი ხელით დაიტკეპნა, ერთი ლუკმა გადაულაპა და ჩანთას წამოავლო ხელი. გზაზე თავისდაუნებურად ნაბიჯი შეანელა და ერთ ვიტრინასთან დიდხანს შეჩერდა.

— ირაკლი, გვაგვიანდება!—ერიამულით ჩაუქროლეს ტოლებმა.

ირაკლიმ ნაბიჯი წინ წადგა, მაგრამ ისე დამძიმებოდა ფეხები, თითქოს წისქვილის ქვები დაჰკიდებსო. როგორც იყო ტაატით ჩაიარა ქუჩა და უკვე მიკეტებულ სკოლის ეზოში შეიპარა.

— გაგიტკბა ძილი, ვაჟო?! აბა, ჩქარა! აბა, მარდად!—გაეხუმრა შესასვლელთან დარაჯი.

— ძია სანდრო, დიდი ხანია ზარი დაირეკა?—თავი მოიმწუხრა ირაკლიმ,— მთელი ღამე კბილი მტკიოდა, არა მძინებია...

— ეგ არაფერი, გაიზრდები, დაგავიწყდება! შედი, რაღას შემომყურებ. ესეს არის შევიდნენ ბავშვები.

ირაკლიმ დარაჯს ვეღარა უპასუხა რა და კიბეს აჰყვა. ზანტად მიმავალ მოსწავლეს რომ შეჰყურებდა, ძია სანდროს ულვაშებში ეცინებოდა. ვინ იცის, ეს მერამდენე ბიჭუნა იყო, კბილს რომ უჩიოდა სიზარმაცის მისაჩქმალად! მაინც რა ყველა კბილს იმიზეზებს ხოლმე? ექიმები არიან უმაწვილები, აქაო და ვერ მიგვიხვდებიანო.

— შენისთანებს ჩავარდნიათ კოვზი ნაცარში!—გული მოუვიდა დარაჯს, კარი გადაკეტა და ირაკლისაკენ გაემურა, რომელიც კლასში შესვლის მაგივრად საპირფარეშოში დაიმალა.

— აბა, გამობრძანდი, ვაჟბატონო!— კარი გამოაღო დარაჯმა და იქვე კედელთან ატუზული მოსწავლე გარეთ გაიხმო.

— რა გინდათ, ძია სანდრო?

— მშვიდობა, რა უნდა მინდოდეს, შენი კარგად ყოფნა!..

— გაკვეთილი არ ვიცი, როგორ შევიდე კლასში, უნდა გამიძახოს. გაგახარდებათ, ორიანი რომ მივიღო?— თავი მოისაწყლა ირაკლიმ.

— ორიანის მიღება არა სჯობია ასე კუკემალულობას? გამოდი-მეთქი...— არ ეშვებოდა დარაჯი.

— ვაი, კბილი!—ლოყაზე ხელი იტაცა ირაკლიმ და ისე დაიმანჭა, თითქოს მართლა მწარე ტკივილმა გაჰკრაო.—სიბრძნის კბილი ამომდის, ძია სანდრო, ისე მტკივა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ბიჭებსაც სწადიათ,
თუმცა ჰქვიათ დიდები
და სკოლაში დადიან:
ვოვა პიონერია,
კეთილი და გულადი,
ჩვენს მეორე თემურსაც
მთელი ეზო უმადლის;
დინჯი დიმა—დიმიტრი
ცნობილია იმითი,
რომ ყოველდღე აკეთებს
ვარსკვლავმფრენებს, რაკეტებს...
აი, რეზოც, რომ უყვარს
საჭადრაკო კამათი:
ლაზიერი... მხედარი...
დებიუტი... შამათი...

2

სამაიხოდ აჩიტას
ძია ჯოტო ეწვია.
— ერთი ამას შეხედე,
რანაირი მხეცია!
როგორ განაბულია,
როგორ გატრუნულია.
თითქოს არც ერთ ჩვენთაგანს
არა ხედავს სრულიად!—
სთქვა და მაღლა ასწია

თოვლისფერი ბაჭია,
ბუნჩულა და პაწია.
გაეცინა აჩიტას:
— ძია, ვიცი, რაც არი.

მეც მრავალჯერ მინახავს
ბაჭიების ბანცალი.
სწორედ მათი ამბავი
ნახატ წიგნში წერია.



— სიბრძნისა რა მოგახსენო და საცრუჰენტელო კბილი კი, მგონი, მართლა ამოგდის, დროზე თუ არ ამოვამრეთ...—და მხარზე ხელგადახვეული მოწაფე ძალით გაუყენა გზას.

ერიდებოდა მია სანდროს ბოტანიკის კაბინეტის კარის შეღება და გაკვეთილის შეწყვეტა, მაგრამ ირაკლის „საცრუჰენტელო კბილის წამოზრდაც" არ ქჭაშნიკებოდა.

— ქალბატონო ელენე, თუ შეიძლება, ეს მოსწავლე გაკვეთილზე დაუშვით. ნუ უსაყვედურებთ, ჩემი მიზეზით შეაგვიანდა, მერე მოგახსენებთ!

— შემოვიდეს!..—დაეთანხმა მასწავლებელი.

მია სანდრო კარიდან ჩამოეცალა ირაკლის და ხელიც უბიძგა შესასვლელად. ირაკლი ისე დაიბნა მოულოდნელობისაგან, რომ ვერც კი გაიგო, როგორ შევიდა კლასში, როგორ დაჯდა თავის ადგილზე. მასწავლებელი ცდას ატარებდა. ირაკლის გულისათვის საუბარი კვლავ თავიდან დაიწყო და გაკვეთილი ჩვეულებრივ გაგრძელდა.

ირაკლი გულში ემადლიერებოდა მია სანდროს.

ამისთანა ბაჩიტა
ზოოპარკშიც ბევრია!—
ბაჩიტაო? ეს რა თქვა!
ატყდა ერთი ხარხარი.



მოეწონათ სახელი
და სტუმარი ახალი.
დადიოდა აჩიტა,
თან დაჰყავდა ბაჩიტა.
სტაფილოს და კომბოსტოს
დაათრევდა ჩანთითა,
ვინძლო არ მომიშივდეს:
ბაჩი, ბაჩი, ბაჩიტა.
მთელი ეზოს ბავშვებმა
შეიყვარეს ცანცარა,
სადაც რამეს ნახავდნენ,
მას აჭმევდნენ, სხვას არა.

ბოსტნეულსაც აჭმევდნენ,
თორნის პურსაც აჭმევდნენ,
შოკოლადსაც აჭმევდნენ.
განა ამას დასჯერდნენ?!
ხელისგულზე ისვამდნენ,
აცეკვებდნენ, უმღერდნენ,
მერე ათას პოზაში
სურათს გადაუღებდნენ.
და სურათში მოჩანდა
თოვლისფერი კურდღელი.
როგორც ყველა ზღაპარში
ელამი და ყურგრძელი.

3

გაზაფხული დასრულდა
და მცხუნვარე ზაფხულმა
ჩვენი დედაქალაქი
ისევ მოინახულა.
— ქალაქელო ბავშვებო,
უკვე დროა, რა ხანი,
აგარაკზე წახვიდეთ
თქვენი ბარგი-ბარხანით.
იისფერი სხივები
წყნეთისა და კიკეთის
მსურველები არიან
მუდამ თქვენი სიკეთის.
გელოდებათ გულგაშლით
ქვიშხეთი და წალვერი,
სიცხე ვერ დაგეწევათ,
თუკი დროზე წახველით.
გელოდებათ სოფლები,
მინდვრები და ჭალები,
მიმოავლეთ გარშემო
ეგ ციმციმა თვალები.
დაისვენეთ ჰაერზე,
გაიკაჟეთ სხეული!—
იძახოდა თბილისი
ცეცხლად გადაქცეული.
ხვეწნა როდი დასჭირდა,
კურდღელს ხელი ჩასჭიდა
და წავიდა აჩიტა.
ბიჭუნა და ბაჭია
კიკეთლებმაც გაიცნეს.
ჩვენ ქუჩის სახელი
ღირსეულად დაიცვეს.
მინდორ-მინდორ ორივე

ხტოდა, როგორც ნარჩე[illegible]
კიკეთშიაც გაისმა:
აჩიტა და ბაჩიტა...
ერთხელ ჩვენი ვაჟკაცი
ტყეში წაჰყვა მამამისს.
და როდესაც დაბრუნდა
თოფიანი, თამამი,—
ნახა, თავის კიბესთან
იდგა ერთი ყაყანი:
თურმე მისი ბაჭია
გაექცლიტა მანქანით
კეთილ ძია ლონგინოზს,
ვინმე უცხოს კი არა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამოართვა მაშინვე
მან ორივე ბაჭია,
ფრთხილად დასვა მიწაზე
და... შინისკენ გასწია.
მეგობარზე ჯავრობდა,
ბაჭიებზე კი არა!
მისი გულისტკივილი
ყველამ გაიზიარა.
მერე? მერე რა მოხდა?
გსურთ გიამბოთ ძალიან?
ახლა მეც დავიღალე
და თქვენც აღარ გცალიათ!



შემკრთალ ბიჭის სახეზე
ჩრდილმა გადაიარა...

4

წარბშეკრული აჩიტა
დაჰყურებდა ბაჩიტას.
არ უნდოდა, მეგობრებს
მისი ცრემლი ენახათ.
ბიჭმა უნდა შეიძლოს
დარდის გულში შენახვა!
მაგრამ სხვები აბლავლდნენ,
აქვითინდნენ ყველანი,—
ზოია და მზეონა,
ზურაბი და ლევანი.
თბილისისკენ გაფრინდა
მყისვე ძია კეთილი,
როცა ნახა აჩიტა
ასე გულდაწყვეტილი!
ბაჭია კი... მაშინვე
შუატყეში დამარხეს,
სადაც რკალი შეუკრავს
ცადაზიდულ სამას ხეს.
ჯერ არც იყო დაშლილი
პატარების კრებული,
რომ დაბრუნდა ლონგინოზ
ძალზე გახარებული:
—მაპატიე, აჩიტა,
რომ საწყალი ბაჩიტა
ჩამივარდა ბორბლებში...
აჰა, ორი ბაჭია,
შეეჩვევი ორ დღეში!—
ბიჭმა ძიას მიაპყრო
თაფლისფერი თვალები,
დარდიანი თვალები,
უკვე ცრემლიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი ქვის მაღაროში



გ. წერეთელი

ნახატები თ. სამსონაძისა

Ალბათ გაგიგონიათ, რომ ქვანახშირს მრეწველობის პურს ეძახიან. მარგანეცს კი შეგვიძლია მეტალურგიის პური დავარქვათ, რადგან თუჯსა და ფოლადს უიმისოდ ვერ მივიღებთ. მე სწორედ იმ კუთხეში — ჭიათურაში გავატარე ჩემი ბავშვობა, სადაც მარგანეცი მოიპოვება.

წინათ მეტად მძიმე იყო მაღაროელების მუშაობა. თითქმის ხელით უხდებოდათ მიწისქვეშ, გვირაბებში შავი ქვის ამოთხრა და გამოზიდვა. ახლა კი ბევრნაირი მანქანა გამოიგონეს და მაღაროელებს მუშაობა გაცილებით გაუადვილეს.

## კომბაინი

დღეს ისევე, როგორც პურის ყანაში, მაღაროშიც კომბაინი მუშაობს, რომელსაც სამთო კომბაინს ვუწოდებთ. გრიალებს კომბაინი, შავ ქვას პურის თავთავებივით იღებს წიაღიდან და მომცრო ვაგონებს ტვირთავს. შემდეგ აგუგუნდება ხოლმე პატარა ელმავალი და რახრახით გამოაქვს მაღაროდან მადნით სავსე ვაგონები. მერე შავი ქვა საჰაერო-საბაგირო გზით გადააქვთ ქარხანაში; იქ მადანს რეცხავენ, ფქვავენ და ახარისხებენ. ქარხნის ხვიმირებიდან კი მადანი უკვე ჩვეულებრივ ვაგონებში იყრება. შემდეგ მას დიდი ელმავალი მიაქროლებს მეტალურგიულ ქარხანაში ან, როგორც უწოდებენ, „მეტალურგიის ფურნემდე“, სადაც სხვადასხვა საკმაზის შერევით თუჯი და ფოლადი მზადდება.

მაღაროელების მუშაობა მეტად საპატიოა. მათ ხომ დიდი ვალი აღევთ სამშობლოს წინაშე. შვიდწლედის ბო-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოს მაღაროელებმა გმირული შრომით ბევრად მეტი მარგანეცი უნდა მოუპოვონ სამშობლოს, რომ მეტი თუჯი და ფოლადი დამზადდეს; თუჯი და ფოლადი—ბევრი მანქანაა. ხოლო მანქანების სიუხვე—ახალი შენობების, ტანსაცმლისა და სურსათ-სანოვაგის სიუხვეა. ყოველივე ეს კი კომუნიზმის აუცილებელი საწინდარია.

## „ქაჯები“

პატარაობისას მე და ჩემს ამხანაგებს მეტად მოგვწონდა მაღაროელების მუშაობა და სულ „მაღაროობანას“ ვთამაშობდით... დავიხურავდით მაღაროელის ქუდს, ასანთის ცარიელი კოლოფებისაგან პატარა ვაგონებს გავაკეთებდით და „მადნით“ დატვირთულ ვაგონებს ფანერის ყუთებით შეკოწიწებულ ქარხანაში მივაქროლებდით.

გული ნამდვილ მაღაროსაკენ გვიწევდა. საქმე გვქონდა თუ არა, იქით უნდა გაგვევლო.

ერთ დღეს მაღაროს ახლოს საქონელს ვმწყემსავდით. გულმა აღარ მოგვითმინა და მაღაროსაკენ გავსწიეთ. შევიხედეთ, იქ ერთ ვაგონს ორი კაცი ავსებდა შავი ქვით. შევეხვეწეთ, ნიჩბები გამოვართვით და ნამდვილი მაღაროელებივით დავიწყეთ ვაგონის ავსება. ისე გაგვიტაცა საქმემ, რომ სამწყემსური მიგვავიწყდა. გარეთ გამურულები გამოვედით. უკვე დაღამებულიყო. გავიგეთ, საქონელი მეველეს დაეჭირა. შინ აღარ მიგვესვლებოდა, ისევ მაღაროში დავბრუნდით. იქ კი მაღაროელები გაგვიჯავრდნენ. რაღას ვიზამდით, ტირილით წავედით შინ და ჩვენებს ვუამბეთ: საქონელს ვეძებდით, მაღაროში რაღაც საშინელი რამ დაგვხვდა და ხელიდან ძლივს დავუძვერითო.

— უი, შვილო, ქაჯები დახვედრიან ბავშვებს,—შეიცხადა ბებიამ.

საქონელს ვინლა ჩიოდა, ყველა ჩვენ „გადარჩენაზე“ ფიქრობდა და ჩვენც ასე გადავრჩით გაწკეპლას.

# „ფისო მაღაროელი“

ერთხელ ფისომ მაღაროელთა პატარა მატარებლის თავზე მოიკალათა და მაღაროში შეისეირნა. პირველად ძალიან შეეშინდა: — მიაუ, მეში-ნიაუუ! — და მიმავალი ვაგონიდან გადმოხტომა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. უკანასკნელ სადგურზე კი დაფეთებული ფისო ფეხებში ედებოდა მაღაროელებს. მალე ვირთაგვებზე ნადირობამ გაიტაცა. შემდეგ სულ მაღაროში დაძვრებოდა; როცა ვირთაგვებს ვეღარ იპოვიდა, ფუმფლაზე და ობობაზე ნადირობდა.

ამის შემდეგ ჩემს კატას ყველა სიცილით „ფისო მაღაროელს“ ეძახდა.

# ფოლადის პეშვი

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ხელში ნამდვილი ნიჩაბი ავიღე და მაღაროში მტვირთავად დავიწყე მუშაობა. მაღაროელები მცდიდნენ:

— როგორ გგონია, სწავლა სჯობია თუ მუშაობაო?

მეც ვუპასუხებდი:

— ყველამ რომ ისწავლოს, ვინღა იმუშავებს-მეთქი.

ერთმა მოხუცმა მაღაროელმა კი მითხრა:

— შვილო, ნასწავლი კაცი ამ შრომის წვენს რომ გამოსცდის, მანქანებს გამოიგონებს და მუშებს შრომას შეგვიმსუბუქებსო.

დიდხანს ვოცნებობდი მექანიკურ მტვირთავზე. და აი, პრაქტიკაზე რომ ვიყავი, კიდეც ვნახე მაღაროში ჩემი საოცნებო პატარა ექსკავატორი. ის მონგრეულ მადანს ნიჩბით იტაცებდა, ზურგზე გადაიტარებდა და ვაგონში ჰყრიდა, როგორც სპილო ისხამს ხოლმე ხორთუმით წყალს ტანზე.

ამ მანქანის შემქმნელი ჩემსავით მუშაობდა თურმე მაღაროში. მასაც გასჭირვებია ეს მძიმე შრომა, მერე ცოდნით შეიარაღებულა და მექანიკური მტვირთავი შეუქმნია. ამ პატარა ექსკავატორმა ჩვენი ქვეყნის მაღაროებში ყველა მტვირთავი მუშა გაანთავისუფლა მძიმე შრომისაგან.

ახლა უკვე ისეთი საოცარი მანქანაც გამოუგონიათ, რომელიც ყოველ ორმოც წამში ნახევარ ტონა მადანს ანგრევს და გამოაქვს. მემაღაროელი კი ამ დროს კარგა მოშორებით დგას და იქიდან მართავს მანქანას. სულაც არ სჭირდება თავისი ძალა დახარჯოს. ამ მანქანას „ფოლადის პეშვი“ დაარქვეს.

ჩემო პატარა მეგობრებო, ვისაც გინდათ, რომ ცხოვრებაში კარგი რამ შექმნათ, შრომაში უნდა ჩაებათ. კარგი აზრი შრომაში იბადება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურიკოჩი

რ. ქორქია

ნახატები ლ. შენგელიასი



ზღაპარი

იყო ერთი პატიოსანი გლეხი, სახელად გურიკოჩი. ერთი ქოხისა და ერთი ქცევა მიწის მეტი არაფერი გააჩნდა.

ერთხელ, გაზაფხულის პირას, სოფელში დიდი ჯარობა გაიმართა. ჯარობას თავადის ქალი, სილამაზით განთქმული მაიაც დაესწრო. მეორე დღეს გურიკოჩი ეწვია ქალის მამას, მაია მომათხოვეო. თავადმა სამი პირობა დაუდო გურიკოჩს:

— ერთი ისეთი ცხენი მომიყვანე, შვიდ ნაბადზე ხტებოდესო! ერთი ისეთი თვლიანი ბეჭედი მომიტანე, დღისითაც ანათებდესო! ერთიც დადიას[1] ხმალი მომართვიო! თუ შეასრულებ ამ სამ პირობას, მოგცემ ქალსო.

შეწუხდა გურიკოჩი და დაღონებული გაემართა ჭიშკრისაკენ. ჭიშკართან კი მაია დაუხვდა და ურჩია:

— ნუ გეშინია, ამა და ამ სოფელში ერთი ბრძენი ბერიკაცი ცხოვრობს, იმასთან მიდი და დაგეხმარება.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა გურიკოჩმა, ხედავს: ერთი მთის ძირას ვიღაც დარბაისელი ზის ქვაზე და ღრმად ჩაფიქრებულა. გვერდით მომცრო ტანის ცხენი უდგას.

— რა დაგემართა, ბატონო?—ჰკითხა გურიკოჩმა დარბაისელს.

—დღესასწაული ახლოვდება, მარულა გაიმართება,—უპასუხა დარბაისელმა.—მარულაზე ეს ცხენი უნდა გამეყვანა და მოულოდნელად დამიკოჭლდა. არ ვიცი, რა ვიღონო! შენ ვინა ხარ და საით მიდიხარ?

გურიკოჩმა უამბო თავისი გასაჭირი.

— შენი ჭირიმე,—სთხოვა დარბაისელმა,—ჰკითხე იმ ბრძენს, რა უშველის ჩემს ცხენს?

გურიკოჩი შეჰპირდა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაინახა: ვიღაც ჭაბუკს შვიდი ნაბადი გაუშლია და ცხენს აჭენებს, რომ ზედ გადახტეს. მიჭენდება ცხენი პირველ ნაბადთან, ისკუპებს, მაგრამ სამი ნაბდის მიღმაც კი ვერა ხტება.

— ამას რას სჩადი?—ჰკითხა გურიკოჩმა.

— სიტყვა მაქვს მიცემული, მანამ არ დავბრუნდე შინ, სანამ ცხენს შვიდ ნაბადზე არ გადავახტუნებ,—უპასუხა ჭაბუკმა.—რა თვალით შევხედო მეზობლებს, თუ სიტყვა გავტეხე?.. შენ ვინა ხარ და საით მიდიხარ?

გურიკოჩმაც უამბო თავისი გასაჭირი.

— შენი ჭირიმე,—სთხოვა ჭაბუკმა,—ჰკითხე იმ ბრძენს, როგორ გადავახტე შვიდ ნაბადს?!

[1] ასე ეძახდნენ სამეგრელოს მთავარს დადიანს.



გურიკოჩი შეჰპირდა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა დადიას სასახლეს. დუმდა დადიას სასახ-

8010

ლე. ჩასირმული ვაჟკაცები უჩუმრად დადიან. ჩონგურებზე ჯორა მოეშვათ ქალებს. გაუკვირდა გურიკოჩს და იკითხა, რამ დაგაღონათო?

— ოჰ, შვილო,—უპასუხა თვითონ დადიამ.—თურქებმა შემომითვალეს: ათი წყვილი რჩეული ქალ-ვაჟი გამოგზავნე, თორემ მანდაურობას ავიკლებთო. ვადაც დამინიშნეს, სამი დღე და ღამე დამრჩა... არ ვიცი, რა ვიღონო!.. შენ კი ვინა ხარ და საით მიდიხარ?

გურიკოჩმა უამბო თავისი გასაჭირი.

— შენი ჭირიმე,—სთხოვა დადიამ,— ჰკითხე იმ ბრძენს, რა ეშველება ჩემს საქმეს?

გურიკოჩი შეჰპირდა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ბრძენთან, უამბო თავისი გასაჭირი, თან იმ დარბაისლის, ჭაბუკისა და დადიას თხოვნაც მოახსენა.

— ეგ ოთხი შეკითხვა გამოდის,— უპასუხა ბრძენმა.—მე კი მხოლოდ სამ შეკითხვაზე გავცემ პასუხს. არჩიე, რომელი დარჩეს უპასუხოდ?

ჩაფიქრდა გურიკოჩი. უარი თქვას დარბაისლის თხოვნაზე? ცოდვაა კაცი, სადღა გამოჰყოფს თავს! უარი თქვას ჭაბუკის თხოვნაზე? ვინ იცის, როდის ნახავს ჭაბუკი თავის ოჯახს!.. უარი თქვას დადიას. თხოვნაზე? კიდევ უარესი... ხომ





წაიყვანს ურჯულო თურქი ათ წყვილ ქალ-ვაჟს სათურქოში. ათი წყვილი საუკეთესო ქალ-ვაჟი დააკლდება სამშობლოს..

— ოჰ, სჯობია, ისევ ჩემს შეკითხვაზე აგიღო ხელი,—გადაწყვიტა გურიკოჩმა,—ვერავინ იტყვის, საკუთარი თავი ახსოვს, სხვა კი არაო...—და სთხოვა იმ სამი კითხვის პასუხი.

— შვიდი გაშლილი ნაბადი დაკეცოს ჭაბუკმა, დააწყოს ზედიზედ და გადახტება ცხენი,—თქვა ბრძენმა,—დარბაისლის ცხენს მარჯვენა ფლოქვში თეთრი ქვა შერჭობია და მარწუხით ამოუღოს... რაც შეეხება დადიას,—განაგრძო ბრძენმა,—ხობის წყლის პირას გაშალოს კარავი, სადაც კოლოებია, და იქ მოელაპარაკოს სულთნის დესპანებს...ესაა და ეს.

გამობრუნდა გურიკოჩი. ჯერ მიაშურა დადიას, გადასცა ბრძენის რჩევა. წამოვიდა დადია თავისი ამალით, გაშალა კარავი, სადაც კოლოები ბუდობდა, და აფრინა კაცი თურქის ფაშასთან: მობრძანდით, მოვილაპარაკოთო.

მოვიდა ფაშა თავისი ამალით. დასხდნენ კარავში, გაიმართა მოლაპარაკება. ამ დროს გურიკოჩმა ბუჩქები ააშრიალა: აიშალა კოლოს ლაშქარი, მაგრამ რა ლაშქარი!.. დაერია კოლო თურქებს... მეგრელებმა ჩიბუხები გააბოლეს, სახე აიკვამლეს... თურქებმა კი ვერ გაუძლეს კოლოს ლაშქარს და გაიქცნენ.

— შენ აგაშენა ღმერთმა,—უთხრა დადიამ გურიკოჩს და ნიშნად მადლობისა შეიხსნა თავისი ხმალი და შემოარტყა წელზე.

წამოვიდა გურიკოჩი. ხედავს: ის ჭაბუკი ისევ ისე დააჭენებს ცხენს. გურიკოჩმა შვიდი ნაბადი ზედიზედ ერთმანეთზე დააწყო და უთხრა ჭაბუკს: აბა, გადააჭენე ცხენიო.—ჭაბუკმა გააჭენა ცხენი და გადაახტა ნაბდებს.

— შენ აგაშენა ღმერთმა,—გაეხარდა ჭაბუკს,—ახლა კი დავბრუნდები შინ, ხოლო ეს ცხენი შენი იყოს, დაიმსახურეო!

შეჯდა გურიკოჩი ცხენზე და გაუდგა გზას. მთას რომ მიადგა, ნახა, დარბაისელი კაცი ისევ იჯდა ქვაზე მწარედ დაღონებული. შეჰყო გურიკოჩმა მარწუხი ცხენის ფლოქვში, მისწი-მოსწია და თეთრქვიანი ბეჭედი გამოაგდო. დღე იყო, მაგრამ ისე გაანათა ბეჭედმა, რომ დღის სინათლეს შუქი შემატა. ცხენმა გამართა ფეხი, მხიარულად დაიჭიხვინა.

— გმადლობთ, ძმაო,—გაეხარდა დარბაისელს,—ეს ალმასის ბეჭედი კი შენი იყოს. მშვიდობაში და ბედნიერებაში მოგახმაროს...

გამოართვა გურიკოჩმა ბეჭედი დარბაისელს და განაგრძო გზა. ამაყად შეაჯირითა ცხენი თავადის განიერ ეზოში.

ისეთი ცხენი მიუყვანა, შვიდ ნაბადზე ხტებოდა. ისეთი ბეჭედი მიუტანა, დღესავით ანათებდა. ერთიც დადიას ხმალი მიართვა.



გაიმართა ქორწილი, მაგრამ რა ქორწილი! სამი დღე და ღამე არ შეწყვეტილა მრავალჟამიერი...



6. 99/88
ეროვნული ბიბლიოთეკა



ყდაზე: „მამალი და კატა" (ზღაპარი) ნახატი შ. ცხადაძისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეცამეტე წელი

ფასი 2 მან.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 24, სტამბის შეკვ. № 327
ტირაჟი 25000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II 1960 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 3, март 1960 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.